პარასკევი, 16 ივლისი, 1904 წ. 1877 წელიწადი ოც-და-მერვე 1904 პარასკევი, 16 ივლისი, 1904 წ.


**გაზეთის ფასი:**

| | | |
|---|---|---|
| 12 | თვით . . | 10 მ. — კ. |
| 11 | ,, . . | 9 ,, 50 ,, |
| 10 | ,, . . | 8 ,, 75 ,, |
| 9 | ,, . . | 8 ,, — ,, |
| 8 | ,, . . | 7 ,, 25 ,, |
| 7 | ,, . . | 6 ,, 50 ,, |
| 6 | ,, . . | 6 ,, — ,, |
| 5 | ,, . . | 5 ,, 50 ,, |
| 4 | ,, . . | 4 ,, 75 ,, |
| 3 | ,, . . | 3 ,, 50 ,, |
| 2 | ,, . . | 2 ,, 75 ,, |
| 1 | ,, . . | 1 ,, 50 ,, |

# ივერია

№ 164 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 164

**წლ. ურის ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის ვადა**

1. ხელის მოწერის დროს—5 მ. და თიბათვის 1-ს—5 მ.

2. ხელის მოწერის დროს—4 მ., მარტის 1-ს—3 მან. და მარიამობისთვის 1-ს—3 მ.

3. ხელის მოწერის დროს—3 მ., მარტის 1-ს—3 მ. თიბათვის 1 ს—2 მ. და ენკენისთვის 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.


ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „ივერია“

| | |
|---|---|
| პირველ მკათათვიდამ წლის დამლევამდე ჰღირს . . . . | 6 მან. |
| „ მარიამობისთვიდამ წლის დამლევამდე . . . . . | 5 „ 50 კაპ. |

ბიბლიოთეკა-სამკითხველოებისა, სტუდენტებისა და ხელოსნებისათვის ჰღირს:

| | |
|---|---|
| პირველ მკათათვიდამ წლის დამლევამდე ქალაქში . . . . | 2 მან. 75 კაპ. |
| „ „ „ „ ქალაქ გარედ. . . . | 3 „ 50 „ |
| „ მარიამობისთვიდამ წლის დამლევამდე ქალაქში . . . | 2 „ 50 „ |
| „ „ „ „ ქალაქ გარედ . . | 3 „ — |

გაზ. „ივერიის“ **კანტორა** ყოველ-დღე ღია არის—დილის 9 საათიდამ 3 საათამდე და საღამოს 5 საათიდამ 8-მდე; კვირა და უქმე დღეს—12 საათ. 2 საათამდე.

## ხელის-მოწერა მიიღება:

**ტფილისში**:—„ივერიის“ რედაქციაში (თავად-აზნაურთა ქარვასლა №№ 117 და 118) და ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურთა ქარვასლა.)

**ქუთაისში**:—წიგნ. გამომც. ამხანაგობის კიოსკში, ბეჟანეიშვილის და წერეთლის წიგნის მაღაზიაში.

**ბათომში**:—ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების სააგენტოში და ჭელიძის წიგნის მაღაზიაში.

**საგურამოში**:—პეტრე მაჭავარიანთან.

**შორაპანში**:—პართენ ნასიძესთან.

**განჯაში**:—სოფრომ კანდელაკთან (სადგურზედ).

**ზორში**:—ანტონ კასრაძესთან.

განცხადება პირველ გვერდზედ—15 კაპ. სტრ., მეოთხეზედ—10 კაპ., მთელი გვერდი გაზეთისა—ცალკე მორიგებით.

**საფოსტო ადრესი**: Тифлисъ, Редакція „Иверія“.


შავი ქვის მრეწველთა კრების

## საბჭო

ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის ნება დართვით, საბჭოს ეძლევა ნება დაიარსოს დაბ. ჭიათურაში ამ წლის ენკენისთვიდან ექვს-კლასიანი

## საქალაქო სასწავლებელი,

რომელსაც არ ექმნება მხოლოდ პირველი ორი განყოფილება.

იმ პირთ, ვისაც სურთ და აქვთ უფლება მიიღონ ადგილები: ინსპექტორისა, სამღვთო სჯულისა და მასწავლებლისა, საბჭო სთხოვს წარმოუდგინონ შავი ქვის მრეწველთა კრების საბჭოს ქუთაისში თვისი თხოვნები 26 ივლისამდე და ამავე რიცხვში, ამ თხოვნებთან ერთად, უნდა წარმოუდგინონ მოწმობანი იმის შესახებ, რომ აქვთ კანდიდატებს პრაქტიკა სწავლებაში, ქართულ ენაში და აგრეთვე ხაზვა-ხატვაში, თუ არა. წლიურ ჯამაგირებად დაენიშნებათ: ინსპექტორს—1760 მან. რჯულის მოძღვარს—480 მან., და მასწავლებელს—1008 მან. (3—6—1).

**გამოვიდა და ისყიდება**

ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამოცემანი:

## ვაი ჭკუისაგან

ა. გრიბოედოვისა, ლექსად თარგმნილი განდეგილისაგან.

ისყიდება აგრეთვე «წერა-კითხვის საზოგადოებაში» და «ცოდნის» წიგნის მაღაზიებში

## კატალოგი

წარმოსადგენად ნება-დართულ ქართულ პიესებისა.

## შექსპირის პიესები

თარგმნილები ივ. მაჩაბლის მიერ, რომელიც შეძენილი აქვს ქართ. დრამ. საზოგადოებას.

მსურველთ უნდა მიჰმართონ ქართულ დრამატიულ საზოგადოების კანტორაში ბ-ნ დავ. ნახუცრიშვილს. (4—4),

**ქართველნი მკურნალნი:**

**გედევანიშვილი მიხეილ**,—ყორღანოვის ქუჩა, № 16, საკუთარი სახლი. საღამოს 6—7 საათამდე.

**გძელიშვილი კონსტანტინე** ელისაბედის ქუჩა. სახლი მიღოვისა, № 5

**გაგაშვილი გრიგოლ**,—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

**ვაწაძე სპირიდონ** პეტერბურგის ქუჩა საკუთარი სახლი.

**მარიამ ნიკოლოზის ასული ზაალიშვილისა**, მიხეილის პროსპექტი, № 145.

**დიასამიძე ალექსანდრე**,—მიხეილის პროსპექტი, სახლი დოლუხანოვისა, № 123.

## პირველი კერძო სამკურნალო

**ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

**უ. მ. ჩიქოვანი**. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

**მ. გ. აფეტისიანცი**. 11—12 საათამდე—კანისა, და ვენერიულ ხირურგიულ ვადმყოფობისა.

**ი. ბაბანასოვი**. დილის 10—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

**კ. ი. გძელიშვილი**. 12—1 საათ. ყელისა ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

**ზ. ა. თარხანოვი**. 1—1½ საათ. შინაგანის და ბავშვებისა.

**ა. პ. კკრაპეტიანცი**. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

**გ. ხოლოდაშვილი**. 9—11 საათამდე კბილების ავადმყოფობანი.

**საღამოობით:**

**ნ. ნ. როსტომბეგოვი**. 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-ტერაპია).

**მ. ს. ელვი**. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბინინა**. 7—7 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

**ზ. ა. თარხანოვი**. 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

**ხ. ტ. არზანიტაკი**. 11—1 ს. უკეთებს სახლში და მსურველთ მასსაჟს, აუცრის ყვავილს გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი **კ. გძელიშვილი**.

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана*. Тифлисъ противъ памятн. Воронцова. 1—.

## კერძო სამკურნალო

**ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა**

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (Набережная) სახლი აბრამოვისა № 9, მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.

**ტელეფონი** № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

**დილით:**

**ა. ნ. დიასამიძე**. 11—12 საათ.

**ა. ტ. მულინი**—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულობით შეპყრობილთ. 10—11 ს.

**ა. ი. ბალარჯიშვილი**. ბავშვებისა, 9—10 ს.

**ლ. მ. მონინი**. ქალის., საბებ. და ბავშვ. (შემოწმება ძიძისა) ოთხშ., პარასკ. და კვირა 2—1 ს.

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგან, ნერვებისა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

**ტყეშელაშვილი**.—კბილის ექიმი იღებს ავადმყოფებს დილით 9—11 საათ.

ექიმი ქალი **მ. კ. იოსელიანი**—ქალისა და საბებიო 11—12 ს. სამშ. ხუთშ. შაბათ.

**გრ. ვ. სოზოლევსკი** — დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

**პ. ა. ბეიერი**. შინაგანი და ბავშვებისა. 1—2 საათ. ყოველ დღე.

სამკურნალოში ჰხდება ქიმიურ-მიკროსკოპიული ბაკტერიო-სკოპიული გამოკვლევანი.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. სამკურნალო გაფართოვებულია ოცი კრაოტით.

46—8 ტელეფონი № 274 (წ.)


## ომის ამბები

**დეპეშები და წერილები.**

გენერალ კუროკის ლაშქრის მოძრაობა.—5 ივლისის ბრძოლა.—ინგლისის გად-წყვეტილება და იაპონიის მწუხარება.—ვილჰელმის სამძიმარი.—პორტ-არტური.

ბოლოს დროს შეკრებილ ცნობებმა და იმ ამბავმა, რომ იაპონელების ჯარს თავი მოუყრია ფინ-ხუან-ჩენსა და ლიაოიანს შორის და ლიაოიან-სამაძისკენ, უნდა გვაფიქრებინოს, რომ იაპონიის ჯარი ეხლა სხვანაირად არის განაწილებული: ერთი დივიზია, ვგონებ მერვე, მარცხენა ფრთიდგან შუბლისკენ გადასულა ჩიპანლინის უღელტეხილთან. გვარდიის დივიზია ისევ ფინ-ხუან ჩენსა და ლიაოიანის მხარეს გადასულა და ლიაოიანის უმთავრეს გზას დასდგომია. ამავე დროს მეთორმეტე დივიზია საიმაძსა და ლიაოიანს შორის დამდგარა. დალნიში მეექვსე და მეშვიდე დივიზიები გადაუყვანიათ, რომ პორტ-არტურზე მიმავალი ჯარი გააძლიერონ. ყველა ამ დივიზიებს თავისი სათადარიგო ჯარიც მისდევს. მეხუთე დივიზიაც ან გადაუყვანიათ ინკოუსთან, ან ეხლა უნდა გადაიყვანონ. იაპონიის ლაშქრები, რომლებიც წინ მიიწევენ, სათადარიგო ჯარებით გაუძლიერებიათ, ხოლო მისი რაოდენობა ჯერ არ ვიცით. (რუს. ინვ.).

—

ბერლინის გაზეთები ამბობენ, თუ იაპონელებმა დალინის უღელტეხილი მართლა დაიჭირეს, მაშინ ხაიჩენსა და ლიაოიანზე აღარ წავლენ, რადგან გენერალ კუროკს განზრახვა აქვს მანჯურიის რკინის გზა დაიჭიროს ლიაოიანსა და მუკდენს შორის. რაღა თქმა უნდა, გენერალი კუროპატკინი მტკიცედ დაუხვდება და ეცდება იაპონელების ლაშქარი გაარღვიოს და ჩრდილო ფრთა გაიცალკევოს. (ბ. ვ.).

—

ლიაოიანიდგან იწერებიან 8 ივლისს: ამბობენ, გენერალ კუროკის ლაშქარი მუკდენისაკენ მიდისო, აქამომდე იაპონელებს მხოლოდ მოსაჩვენებლად გადაჰყავდათ აქეთ-იქით თვისი ჯარი, რომ მოვეტყუებინეთ, და ნამდვილად-კი სცდილობდნენ ჩვენის ჯარის მარცხენა ფრთას შემორტყმოდნენ. (რუს. ლ.).

—

გაზეთ «რუსის» კორესპონდენტი იწერება: ლიაოიანს მოველ, რომ მარჯვენა ფრთისკენ წავიდე. გავიგე, რომ სევის პოლკს გმირობა ჩაუდენია, ბევრით უმეტესი მტერი დაუმარცხებია და 8 ზარბაზანი წაურთმევია.

სამწუხაროდ, ზარბაზნების წამოღება ვერ შეიძლო და მიატოვა, თუმცა-კი სულ გააუვარგისა. გენერალი კელლერი იძულებული იყო უკან დაეწია, რადგან მტერი რიცხვით ორჯერ მეტი ყოფილა.

—

იაპონიის საელჩოს ლონდონში შემდეგი დეპეშა გამოუქვეყნებია: გენერალი კუროკი იუწყება, პირველმა რაზმმა ბრძოლა დაიწყო 5 ივლისს და სიხეანი დაიჭირა (ლიაოიანის გზაზე, ლინ-შან-კუანის ჩრდილოეთად), სადაც მტერს ძლიერი მოსაგერებელი სიმაგრეები გაეკეთებინა. დასავლეთისკენ მიმავალ რაზმს არტილერია იცავდა მაღლობებიდგან. 6 ივლისს, დილით, მტრის ბანაკს ზარბაზნები დაუშინა. მტერს 32 საბარო ზარბაზანი ჰქონდა, რომლითაც სროლა ასტეხეს. ჩვენი მეორე რაზმი სხვა უღელტეხილით მიდიოდა და მტრის მარჯვენა ფრთას ემუქრებოდა. უკანასკნელმა წინააღმდეგობა გაუწია და ცხარე ბრძოლა გაჩნდა: ნაშუადღევს 5 საათსა და 30 წუთზე უმთავრესი ნაწილი ჩვენის ჯარისა მტრის ბანაკს შეესია სიხეანის ჩრდილო-დასავლეთად. ამავე დროს ერთმა ჩვენმა რაზმმა მტრის მარჯვენა ფრთა უკუ-აქცია. 8 საათზე სიხეანი თავის მიდამოებით დაჭერილი გვქონდა. ჩვენ დავკარგეთ 72 მოკლული, მათ შორის 2 აფიცერი, და 452 დაჭრილი, მათ შორის 16 აფიცერი. მტერმა დასტოვა 131 მოკლული. მტრის ჯარში იყო მე-34 და მე-36 ყაზახის პოლკები, 32 ზარბაზნით. (რ. ვ.).

—

როგორც ამბობენ, დაშიცაოსთან რუსის ჯარს ძალიან კარგი სიმაგრეები ეჭირა და კიდევაც ბატარეებს აყენებდნენ მაღლობზედ; ზარბაზნები თხრილებშია ჩამალული. რუსის ჯარის უფროსად გენერალი კონდრატოვიჩი არის, რომელსაც ჰქილობა გამთელებიაო. (რ. ვ.).

—

იაპონიის გაზეთები მწუხარებას აცხადებენ რუსის გემების მოქმედების გამო მეწამულ ზღვაზე, ვაი თუ ამ გარემოებამ ომი გაამწვავოს და სხვაგანაც გადაავდოს, თუმცა სულ ყველა სახელმწიფოები სცდილობდნენ ომის ველი შეეზღუდათო. ეხლა ბალტიის ესკადრის მოსვლა იაპონიისათვის საშიში აღარ არის და მით უმეტეს ვერას გახდება შავის ზღვის ესკადრაო. საშიში მხოლოდ ის არის, რომ რუსეთ-იაპონიის ომი საერთაშორისო ვაჭრობას ხელს შეუშლისო. (იქვე).

—

ლონდონიდგან იუწყებიან, ვითომც ინგლისის მთავრობამ გადასწყვიტა, არც ერთი რუსის სამხედრო გემი არ გაატანოს ბოსფორზე და ვითომც ინგლისის ესკადრა იდარაჯებს დარდანელში. (იქვე).

—

ბერლინიდგან დეპეშით იუწყებიან, იმპერატორმა ვილჰელმმა იაპონიის სამხედრო აგენტს ბერლინში დეპეშით სამძიმარი გამოუცხადა იაპონიის ფლოტის კაპიტანის გაიაშის სიკვდილის გამო, რომელიც წინად რამდენსამე წელს სამხედრო აგენტად ყოფილა ბერლინში და ეხლა ძინ-ჯოუს ომში მოუკლავთ. (იქვე).

—

პორტ-არტური საუკეთესო ციხე-სიმაგრეა, რომლის ბადალიც ძალიან ცოტა მოიძებნება თურმე დედამიწის ზურგზე. ქვანდუნის ნახევარ-კუნძული, რომელზედაც ეს ციხეა, მთა-კლდიანი ადგილია: ხოლო მარტო ეს არ არის მიზეზი პორტ-არტურის სიმაგრისა. რაც უნდა მაღალი და მიუვალი იყოს ეხლანდელი ციხე, ეხლანდელ იარაღს ვერ გაუმაგრდება. ეხლანდელი ზარბაზანი 15—20 ვერსის მანძილზე ისვრის ყუმბარას, რომელიც მთა-გორასაც კი თავს ევლება. ამიტომ თვით ციხის გარშემოც, კარგა მოშორებით, სხვა და სხვანაირ სიმაგრეებს აკეთებენ, რომ მტერი დიდხანს შეიმაგროს და პირდაპირ ციხეს არ წაადგეს. პორტ-არტურსაც ასეთი სიმაგრეები აქვს გარშემო, სამს ჯგუფად გაყოფილი.

ერთი ჯგუფი აღმოსავლეთით არის, გველეშაპის (დრაკონის) ქედზედ. აქ ერთი დიდი, ორი შუათანა და ცხრა პატარა სიმაგრეებია, რომლებიც ხვრელით არის შეერთებული. ამ სიმაგრეებს გარს არტყია ღრმა თხრილები, წყალით სავსე, სიგანით ათი მეტრი. ცოტა მაღლა გამწკრივებულია ახალის სისტემის მსწრაფლ-მსროლელი 4—6 დიუიმანი ზარბაზნები და ტყვიის მფრქვევლები.

მეორე ჯგუფი ჩრდილოეთით არის, პირველზე ცოტა მოშორებით. ეს სიმაგრე სხვაზედ უფრო სუსტია, რადგან ადგილ-მდებარეობა ისეთია, რომ სხვებსავით გამაგრება არ შეიძლება და ამასთანავე მტერი უფრო ადვილად მიუახლოვებს თავის ზარბაზნებს.

დასავლეთის ჯგუფში ოთხი და ხუთი სიმაგრეა სუნშანის ქედზედ, რომელსაც 300—400 ფუტის სიმაღლე აქვს. იქ არის 40 საუკეთესო 6—9 დიუიმიანი.

ზღვის მხარესაც პორტ-არტური სამაგალითოდ არის გამაგრებული.

უმთავრესი სიმაგრე წინად ჩინელებს გაეკეთებინათ და მერე რუსებმა გადააკეთეს. ამ სიმაგრეს ეწოდება «ზოლოტაია გორა» (ოქროს მთა). აქ არის სამი ბატარეა 12 დიუიმიანი (ბატარეაში ორი-ორი), ცხრა დიუიმიანი (ბატარეაში 8—10) და მრავალი სხვა-და-სხვა ზომის ზარბაზანი. ზღვიდგან ამ სიმაგრეს არა ევნება-რა, რადგან გემები მიახლოვებას ვერ გაჰბედვენ, რომ ციხე დააზიანონ. ამას გარდა, იქვე ცოტა დაბლა კიდევ სამი ბატარეა სდგას.

«ზოლოტოი გორის» დასავლეთით, ნავთსადგურის შესავალში, მსწრაფლ-მსროლელი ზარბაზნებია. ამავე შესავალს იცავს ზარბაზნები, «ტიგრის ხვოსტზე» (ვეფხის კუდზე) გამწკრივებული.

ტიგრის ნახევარი კუნძული შუაგულ სიმაგრეს წარმოადგენს, სადაც 190 ფუტის მაღლობზედ არის თერთმეტ-დიუიმიანი და მრავალი სხვა-დასხვა ზომის ზარბაზნები.

დასავლეთით, ტიგრის ნახევარ კუნძულიდგან ლიაოტეშანის მთამდე, ოთხი სიმაგრეა, რომელიც ციხის დასავლეთისა და სამხრეთ-დასავლეთის მხარეს იფარავს.

პორტ-არტურს ხმელეთით სხვა სიმაგრეებიცა აქვს შემოვლილი, ხოლო რუსული გაზეთები ვერას იტყვიან და უცხოელებმა კი ზედმიწევნით არა იციან-რა.

ზემოდ აღნიშნული ცნობებიც უცხოელთა წყაროდგან არის ამოკრებილი (ვ. ი. ლ.).

—

გაზეთი «სტანდარდი» იუწყება, იაპონელებმა დასავლეთად პორტ არტურის ფორტი აიღეს, რომელიც ერთის მილის სიშორეზეა ციხის უმთავრეს სიმაგრეებზე. ეხლა ამ სიმაგრეებსაც ზარბაზნები დაუშინესო. (იქვე.).

# ტფილისი

—

*** უმაღლესის მთავრობის ნება-დართვით, ყოვლად-სამღვდელო კირიონი, ეპისკოპოსი ორიოლისა და სევისა 15 ივლისიდან მოემგზავრება კავკასიაში წყლებზედ სამკურნალოდ ერთის თვის ვადით; მარიამობისთვის პირველ რიცხვებში ჩვენს დედა ქალაქში დაათვალიერებს საქართველოს სამღვდელოების საეკლესიო და წერა-კითხვის საზოგადოების მუზეუმებს, რომლებშიაც გადასინჯავს ზოგიერთ ხელთნაწერებს საჭირო მასალის ამოსაკრებად.

*** რადგანაც ამ ჟამად ხალხი წასულწამოსულია საზაფხულოდ, ამიტომ ქართულმა დრამატიულმა საზოგადოებამ 23 ივლისისათვის დანიშნული წლიური საზოგადო კრება გადასდო აგვისტოს მიწურულისათვის. რათა ამ გარემოებამ ხელი არ შეუშალოს წარმოდგენების მართვას, ამიტომ შესდგა ამხანაგობა, რომელმაც უნდა აწარმოოს მომავალ სეზონში წარმოდგენების საქმე.

*** გუშინ-წინ, 14 ივლისს, კავკასიის მთავარ-მართებლის თანამდებობის აღმასრულებელი, ინფანტერიის გენერალი ა. ა. ფრეზე, ისევ კოჯორს დაბრუნდა.

*** ანტ. პ. ჩეხოვის სულის მოსახსენებლად 13 ივლისს ქვაშვეთის ეკლესიაში გარდახდილ პანაშვიდის მეთაურთ ამავე დღეს ერთმანერთს შორის მოაგროვეს 3 მანეთი და გადასცეს «ტფ. ფურც.»-ს რედაქციას რომელისამე საკეთილო საქმის მოსახმარებლად. ხსენებულმა რედაქციამ ზემოხსენებული ფული გაუგზავნა მოსკოვში გაზ. «რუს. ვედ.»-ს რედაქციას ჩეხოვის სახელობის სტიპენდიისათვის ფონდის გასაძლიერებლად.

*** ოზურგეთის ქალაქის მამასახლისის თანამდებობაზედ ქუთაისის გუბერნატორს დაუმტკიცებია პროვიზორი ბ-ნი ხუნდაძე, რომელსაც ოზურგეთში კერძო აფთიექა აქვს.

*** ახალციხის საქალებო სკოლას ბ-ნმა ნიკ. ბეს. ღოღობერიძემ შესწირა 50 მანეთი.

*** თელავის წმ. ნინოს დედათა სასწავლებელში მოწაფე ქალთა ხელმეორედ გამოცდა დანიშნულია 25-სა და 26-ს აგვისტოს, ხოლო იმათი გამოცდა, ვისაც ამ სასწავლებლის მოსამზადებელ კლასში სურთ შესვლა, მოჰხდება 27-სა და 28 აგვისტოს. 1-ლსა, 2-სა და მე-3 კლასში წელს, უადგილობისა გამო, არავის მიიღებენ. სასწავლებელში სტიპენდიანტად შესვლის მსურველთათვის დახურული კენჭის ყრა მოხდება ამ წლის 5 სექდემბერს.

*** ტფ. ქალაქის გამგეობამ 13 ივლისს განიხილა გამგეობის წევრის თავ. ნ. ე. არღუთინსკი-დოლგორუკოვის მოხსენება, რომელიც შეეხება სავაჭრო-სამეურნეო პოლიციის აგენტთა დაუდევრობასა და გადასახადის მოკრეფის საქმის მოწყობას. მომხსენებელი სწერს,—წელს ქალაქი მოელის 1.173,970 მან. და 97 კაპ. შემოსავალს, პირველ იანვრიდგან 20 ივნისამდე კი მხოლოდ 411.452 მან. შეკრებილაო. ბევრია აგრეთვე გადასახადების დარჩენილი ფული. მომხსენებელი ამბობს, სხვათა შორის, რომ მარტო მთავარ მართებლის სასახლეზედ დარჩენილა 75,000 მანეთი. დასასრულ მომხსენებელი საჭიროდ სცნობს, რომ ყველა აგენტებმა იხმარონ ყოველივე კანონიერი საშუალება გარდასახადთა მოსაკრეპად და ვინც გადასახადს რიგიანად არ გადაიხდის, იმას აგენტებმა უნდა დაუჭირონ შემოსავალი, აუწერონ უძრავი ქონება და სხვა. გამგეობამ დაადგინა, რადგანაც სავაჭრო-სამეურნეო პოლიცია გამგეობის მეოთხე განყოფილების გამგეს თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილს ექვემდებარება, დაევალოს თავ. ჩერქეზიშვილს, რომ მან თავისი მოსაზრება წარუდგინოს გამგეობას თავ. არღუთინსკი-დოლგორუკოვის მოხსენების შესახებ.

*** 20 აგვისტოდგან დაიწყება სწავლა ბრმათა სამზრუნველოს სკოლა-თავშესაფარში.

*** ტფ. საგუბერნიო სამკურნალო საზოგადოების გამგეობამ გუშინ-წინ ქალაქის გამგეობას გაუგზავნა ახალ სააფთიაქო წესდების პროექტი, სამინისტროს-მიერ შემუშავებული, და სთხოვა, ქალაქის საბჭომ თავისი აზრი გამოსთქვას ამ წესდების შესახებ სამინისტროში წარსადგენადო.

*** ტფ. გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელმა აცნობა ტფ. ქალაქის მოურავის მოადგილეს, ქალაქის საბჭოს დადგენილება იმის თაობაზედ, რომ ქალაქის თვით-მმართველობაში მოსამსახურეთ ყოველ ხუთის წლის სამსახურის შემდეგ ჯამაგირი მოემატოს, შეჩერებულ იქმნასო.

*** ტფ. პოლიცმეისტერმა წინადადება მისცა ტფ. ბოქაულთ, დახმარება აღმოუჩინონ სასანიტარო მზრუნველთ. პოლიცმეისტერი უბრძანებს ბოქაულთ, რომ ამ უკანასკნელთ თვითოეულ სასანიტარო მზრუნველის განკარგულებაში დანიშნონ თითო პოლიციელი, რომელიც განთავისუფლებული იქმნება სხვა მოვალეობისაგან.

*** 2 ივლისს ყიზლიარში დიდის ამბით პარაკლისი გადაუხდიათ წმ. მესროპის-მიერ სომხურ ანბანის აღმოჩენიდგან 1500 წლის შესრულების გამო.

*** გაზ. „მშაკს“ აცნობინებენ, რომ მგელკაცა, რომელიც წინა წლებში არარატის ღელეში დათარეშობდა და მცხოვრებთ შიშის ზარსა ჰკვრიდა, წელსაც გამოჩნდა და ეხლა თვით სოფლებშიაც უშიშრად დათარეშობსო. მაგალითად, 3 ივლისს, ღამით, მგელ-კაცა შეიჭრა სოფ. გომში, გამოსტაცა ხელიდგან ერთს მოხუც კაცს 5 წლის შვილისშვილი (ვაჟი) და გაექანა მახლობელ ტყისკენ. მოხუცის ყვირილზედ მოირბინეს გლეხებმა და გამოუდგნენ მგელ-კაცას, მაგრამ მისს კვალს ვერ მიაგნეს. მხოლოდ მეორე დილას მახლობელ ბოსტანში, ხის ძირას, იპოვეს შეჭმულ ბავშვის ძვლები. 5 ივლისს, ღამით, მგელ-კაცა გამოჩნდა მეზობელ თათართა სოფელში, მაგრამ ადრე შენიშნეს სოფლელებმა, დასცეს ყიჟინა და მგელკაცამაც მოჰკურცხლა. ნუ თუ არ შეიძლება რაიმე ღონისძიებათა მიღება ამ საშინელის მხეცის მოსაკლავად ან დასაჭერად?

*** დაღისტნის ოლქის სოფ. მაზიდკან გაზ. «შიარკი რუს»-ს აცნობინებენ, რომ 8 ივლისს ამ სოფლის მიდამოებში მთიდგან წამოვიდა დიდი ზვავი, რომელმაც 200 ცხვარი, 10 ცხენი და 200 სული მსხვილფეხი საქონელი გასრისა და რამდენიმე სახლი დაანგრიაო. ზვავს კაცთაგან არავინ უმსხვერპლია.

*** გაზ. «ბაკ. იზვ.» გადმოგვცემს, რომ ბაქოში 10 ივლისს, ნაშუადღევის 3 საათზედ, ბაქოს ერთ ქარხანის მეარტელეს კუდრინს, რომელსაც მიჰქონდა 6,850 მ., თავს დასცემია სამი კაცი; ერთს მათგანს ხანჯლით დაუჭრია კუდრინი და გამოუგლეჯია ხელიდგან ჩანთა, რომელშიაც 1,000 მანეთი ყოფილა. ამასთანავე რევოლვერიც გაუსროლიათ. რევოლვერის ხმაზე რკინის ხზის პომხმარებელ საზოგადოების დუქნიდგან გამოვარდნილა სტეფანე სარაჯიშვილი და წაურთმევია ერთ თავდამსხმელისათვის ის ჩანთა, რომელშიაც 1,000 მან. იყო. შემდეგ პოლიციას შეუპყრია ერთი თავდამსხმელთაგანი. შეპყრობილი აღმოჩნდა თავადი გიორგი სოლომონის ძე ჩხეიძე დაჭრილი კუდრინი საავადმყოფოში წაიყვანეს, ხოლო თავ. ჩხეიძე დააპატიმრეს. გამოძიება სწარმოებს.

# საქართველოს ამბავი

—

**კახეთი.** ბუნების სიმშვენიერით და სიკეკლუცით კახეთს ვერც ერთი ჩვენი სამშობლო მხარე ვერ შეედრება. ამისთვის ბევრნი მწერალნი, კახეთის ნახვით დამტკბარნი და დაშორებულნი, ასეთ სიტყვებს უძღვნიან, როგორც თავ. ვ. ორბელიანი:

«აღარ მეღირსა, მშვენიერო ჩვენო კახეთო, რომ გომბორის მთით შენ შვენებას კვლავ გადმოვხედო. დავეშო დაბლა, შენს წალკოტებს ჩამოვუარო და იმათ ჩრდილში განვისვენო და გავიხარო»... კახეთი მრავალ სიმშვენიერეთა შორის ბუნებას უხვად დაუჯილდოვებია რიყე-ხევებით. ეს რიყე-ხევები უერთდებიან ალაზანს, რომელიც შუაგულ კახეთს ვერცხლის ფრად აღიანდაგებს და მომხიბვლელ სანახაობას აძლევს.

თითქმის ყოველ სოფელზე ჩამოდის ხევი, რომელიც მიჯნადაც იწოდება მცხოვრებთა შორის. ბევრი მათგანი მაგ. თურდო, კისისხევი, დურუჯი, ლოპოტა, სტორი, ილტო და სხვ. შესანიშნავია თავის სიდიდით. თუ ზამთარი თოვლიანი შეხვდა, გაზაფხულზე წვიმების დროს ეს ხევები ისე მოდიდდებიან ხოლმე, რომ დიდ ზარალს აყენებენ მცხოვრებთ. დიდი ხანი გაივლის, ვიდრე ს. ყვარელის მცხოვრებთ ის ზარალი და უბედურება დაავიწყდებათ, რომელიც დურუჯმა მიაყენა ამ რამდენისამე წლის წინად. გაზაფხულზე წვიმის დროს ხევი ისე ადიდდა, რომ კალაპოტში ველარ დაეტია, გადმოვარდა სოფელზე, მივარდა ზედ სახლებზე, დააქცია, წაიღო და წალეკა საჩრო-საბადებელი და რამდენიმე ადამიანი იმსხვერპლა. თურდოს—ს. ახატელ, რუისპირს და გულგულა-ყარაჯალის და კისისხევს სოფ. კისისხევ-კონდოლის მცხოვრებთათვის ბევრი ავი დღე დაუყენებია. ბევრჯელ გაუმაგრებიათ მისი ნაპირები, ბევრჯელ, მაგ. შარშან, მთელი კვირაობით და თვეობით უმუშავნიათ, ამასთან ფულიც დაუხარჯნიათ, მაგრამ მაინც მათ სიმაგრეს ვერ ასცდენია წყალი. ბევრჯელ და შარშანაც ხევი კონდოლზე გადავარდა, ზოგს მიწა-ვენახი მოსტაცა, ზოგს სახლებში და გომურებში შეუვარდათ წყალი და სხვა.

წელს, თუმცა თოვლიანი ზამთარი არ ყოფილა, მაგრამ გაზაფხული მეტათ ავდრიანი იყო, რის გამო ხევებში წყალმა იმატა. საბედნიეროთ ჯერჯერობით სოფლებისთვის საგრძნობელი ზარალი არ მოუტანია, თუმცა-კი გზები საშინლად გააფუჭა და მიმოსვლა გააძნელა, ზოგჯერ სახიფათოც-კი ხდება, ისე რომ ურმით ძლივს გადიან. ალაზანიც ძლიერ გადიდდა და თავში ფონით გასვლაც-კი საშიში შეიქმნა. ერთი ოჯახი კიდეც იმსხვერპლა. ს. მაღრანიდამ ახმეტაში მიდენილიყო სიდედრთან ერთი გლეხი კაცი თავისი ცოლშვილით. შუა ალაზანში ურემი გადაუბრუნდა და ყველანი დაიღუპნენ. მთელი ოჯახი ჰშთანთქა ალაზანმა. მარტო ერთი დედაბერი-ღა დარჩა. ალაზანზე ერთად-ერთი ხიდია სოფ. შაქრიანთან. ხშირათ ესეც წყალს მიაქვს და რამდენისამე ხნით სრულიათ მოსწყდება ხოლმე გაღმა-გამოღმა მხარეს. ამ დროს ტვირთის გადატან-გადმოტანაც სრულიად შესწყდება ხოლმე და გაჭირვებაში ცვივდებიან მცხოვრებნი. სიამოვნებით აღვნიშნავთ, რომ მთავრობამ ყურადღება მიაქცია ამ გარემოებას და გადასწყვიტა რკინის ხიდის გაკეთება. შარშან ზაფხულს განზრახულ ხიდის კეთება კიდეც დაიწყეს და ეხლა მუშაობა კვლავ სწარმოებს, ასე რომ, მალე ისეთი მკვიდრი ხიდი გვექნება კახელებს ამ მდინარეზე, რომ ალაზანის ტალღა ველარას დაგვაკლებს და მიმოსვლა უზრუნველ ყოფილი იქმნება.

მიჯა-კახელი.

—

სოფ. **ვარდისუბანი.** (გორის მაზრა) გაიჭრა ჭირნახული ზემოქართლში. ვაი მუშას, რომელსაც 6—7 წელიწადია ხეირიანი მოსავალი აღარ მოსვლია და ათჯერ ვაი მეპამულეებს, რომლებიც მამულის გარდასახადს, ღალას, ვერ მიიღებენ სრულიად, და რასაც მიიღებენ, იმასაც ნახევარს: გორველას, ბალახის თესლს, ღვარძლს და სხვა უხეირო მარცვალს. მიზეზია მოუსავლობისა—მარტიდამ თიბათვემდე წვიმა და სიცივე. სიცივემ ნათესი ვერ აამაღლა, ბალახმა დასჩაგრა და ამოახრჩო. ორი წილი ქერების და შვრიის თივად გასთიბეს და მესამედშიაც გამოფიტული მარცვალი მოვიდა. სიმინდმაც ძალიან შეიგვიანა წელს, წვიმების მიზეზითვე. ვერ გაითოხნა დროზედ, რადგანაც მუშა ვერ დაიქირავა მცხოვრებმა, არა ჰქონდა მუშის ფული, და მარტო თითონ ვერ მოასწრო გათოხნა—ეს დარგიც სათუოა, რადგანაც ძალიან დაბალი სიმინდია და სიცხეებმაც მოუსწრეს... რაც შეეხება მევენახეობას, ამაზედ ლაპარაკი—მოცდენაა. 7—8 წელიწადია, რაც ზემოქართლში სათათარე ტკბილი არ მოსულა. ვენახები გააპარტახა მილდიუმ, ფილოქსერამ, ნაცარმა და ათას გვარმა გამოურკვეველმა სენმა. მებოსტნეობა მართალია გავრცელებულია ჩვენში, მაგრამ ამ საქმეს მისდევენ არა მკვიდრი მცხოვრებნი, არამედ მოსული ყიზილბაშები, რომლებიც ქირაობენ მიწას—დღიურს 15 მანეთად, ახვნევინებენ გლეხებს, აძლევენ ალოში 6—7 მანეთს და ბოსტნეულს ასაღებენ აქაურ გლეხობაზედ და თავადაზნაურობაზედ, ფულზე, ჭირნახულზე და ხუთი-ექვსი წლის განმავლობაში—

# ფელეტონი

—

## ფიქრები კუბოს წინ.

ამ ხნის კაცი ვარ... ბევრის დამსწრე და არ მახსოვს, რომ ვინმე ისე დაესაფლავებიოსთ, როგორც სამსონ თოფურია: ხალხი უთვალავი, გვირგვინები—ბლომად და სიტყვის-მთქმელები—მრავალი. გაურჩევლად გვარ-ტომობისა და რჯულისა იგლოვენ!.. სოფლელებს თავი დაუნებებიათ მუშაობისათვის, ქალაქელებმა ვაჭრობა შეაჩერეს და ამ სიცხეპაპანაქებაში თავ-ქუდ-მოხდილი მისდევენ მიცვალებულის კუბოს. მაგრამ რას ვამბობ?! მისდევენ კი არა, ძლივს ადგამენ ბიჯს, ისე გაჭედილა მეიდან ქუჩები ხალხით დ ხეებზედაც რომ მაყურებლები გასულან, ასე ეგონება კაცს, თუ ხეებს კაცები მოუსხამს და ჩამოსაღებად დაგანძულანო. უჩვეულო რამ ხდება! ვინ იყო ეს კაცი და რა? დიდი ვინმე გვარიშვილი, რომლის წინაპართა ქვეყნისადმი სამსახურს იხსენიებს მადლიერი ერი და სამაგიეროს უხდის მის ნაშიერთაგანს?

— რა ბრძანებაა?!..

— მაშ, უფლებით შემოსილი, დიდი ვინმეა?

— არა.

— მდიდარი, გრძნობით მომხიბლავი და ქვეყნის თვალის მომჭრელი?

— არც ის.

— მაშ, მგოსანი? მხატვარი? მესაკრავე? მღერალი? ან არტისტი? თანამედროვეთა რითიმე დამატკბობელი სიქადული?

— არა! არა! და არა!!..

— აბა. ცხადია, ამ ჩვენი დროის სტუმართ-მოყვარე აბრამი ყოფილა, რომლის სახლის კარი ყველასათვის ღია იყო და დღითი დღე მის საფუნდრუკოში სიხარულის ხმა გაისმოდა და სადღეგრძელოების დროს «ვაშა-გაუმარჯოს»! ძახილით ყურთა-სმენა აღარ იყო?

— ჰმმ!.. მართალია, მაგის სახლის კარი ყველასათვის ღია იყო, მაგრამ საფუნდრუკო და სალხინო კი არ ყოფილა, საავადმყოფო იყო, ჭირის სადგური, სადაც სნეულთა კვნესა ოხვრა ისმოდა. ეს კაცი იყო ერთი ღარიბი ექიმთაგანი და ამ, გარეგნობით ყოველ-გვარად უმნიშვნელო, მომაკვდავს იგლოვს ხალხი ასეთის ამბით!.. და იგლოვს არც მაღლიდან ნაბრძანებ ძალდატანებით, არც სხვების წამხედურობითა და ფეხის აყოლით და არც უსასყიდლო პირადი რამ დავალებით!.. მარტოოდენ ეროვნულ ალღოს აღებით! და ეს არის, რომ ამართლებს ჩემს გიხაროდენს: «არ მომკვდარა!.. მხოლოდ სძინავს»!

დიდი ხანი არ არის.., სულ ათი-თხუთმეტი წელიწადი თუ იქმნება, რაც ქართველმა სტუდენტობამ ელფერი იცვალა. წინეთ ყველა მათგანი, სანამ უნივერსიტეტში იყო, თავს სამშობლოს მოციქულ-მოწამედ ამზადებდა. მათი მისწრაფება წმინდა იყო. ზოგი ექიმად ემზადებოდა იმ განზრახვით, რომ თანამოძმეებს გასაჭირში დახმარებოდა, ღარიბებისათვის შემწეობა აღმოეჩინა და გამოეხსნა ხალხი ამაოდ-მორწმუნეობისა და ჯარაექიმებ-მკითხავებისაგან. ზოგი იურისტად მიდიოდა, რომ ეწინამძღვრა ჩვენის გაჭირვებულისა, უცხოში გზა დაბნეულ ერისათვის და სწორ-გზაზე დაეყენებია... როგორც უსასყიდლო მოძღვარს და დამრიგებელს, ჩამოეგდო მოძმეთა შორის მშვიდობა და სათნოება. ზოგიც პედაგოგიურ კურსებზე მეცადინეობდა, რომ სამშობლოსათვის პესტალოც-დასტერვეგებად მომზადებულიყო და ასე, ამ გვარად.

მართალია, სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, უმეტესს მათგანს გული ეცვლებოდა და ავიწყდებოდა ჭაბუკობის აღთქმა-სურვილი და საპირადო ტალახიან კალაპოტში აყენებდა თავისს ცხოვრებას.. მაგრამ მაინც რამდენსამე ხანს ებრძოდა გარშემო უკუღმართობას, რომ არ გადასხვაფერებულიყო. და ესეც კარგი ღვთის წყალობა იყო!—ახლა კი დღევანდელი სტუდენტები სულ სხვა არიან. აქავე, წასვლამდე, აქვსთ აწონილ-გაზომილი თვისი მომავალი. გიმნაზიაშივე თითებს აგდებენ და ანგარიშობენ: რა უფრო ხელ-საყრელია პირადად მათთვის და სასარგებლო: ექიმობა. ადვოკატობა, თუ ინჟინერობა?. გარეგნობითაც სულ სხვა ნაირი არიან. ადრინდელი სტუდენტი სულ გრიბალდსა ჰბაძავდა გარეგნობით, ზოგი—ბოკლს, ზოგი კოშუტს, ზოგი ვისა და ზოგი კიდევ ვის? მაგრამ ყველა კი იმ დროს გამოჩენილ მოღვაწეებს, და ეს ნიშანი იყო მისი, რომ შინაგანადაც, ესე იგი, სულიერადაც მუდამ მათზე ჰფიქრობდენ და სცდილობდენ მათ დამგზავსებას.

დღევანდელ სტუდენტობას კი სარკედ გვარდიის აფიცრობა გაუხდა, ულვაშებს ვილჰელმურად იპრეხენ და, მშობლიურს რომ ველარ ახერხებენ, წმინდა, გამტკაცულ იაროსლავურ კილოთი მოლაპარაკე ქალებს ეკოხტავებიან. საზოგადოდ «მამის სული გაუშვიათ და მამინაცვლისას ფიცულობენ».

არა!—სულ სხვა გრძნობითა და სურვილით იყო გამსჭვალული ძველი სტუდენტობა და მათთან ახლოს ყოფნა სულსა დ გულს გვიბრუნებდა და მეც სწორეთ ამისთანა დროს გავიცანი, ოცდახუთის წლის წინედ, ოდესაში მყოფი სტუდენტი თოფურია.

ასაკში ახლად შესული ადამიანი ოცნების მორევში სცურავს, ყოველიფერ ვარდის ფრად ეჩვენება და, სისხლჭარბსა და გამოუცდელს ცხოვრებაში, ქვეყანა მისი სანავარდო მოედანი ჰგონია. შეუძლებელიც კი შესაძლოდ მიაჩნია და მის სურვილ-მისწრაფებას საზღვარი არა აქვს. და ეს მართლაც ასე უნდა იყოს. თვარა, თუ კაცმა ახალგაზრდობაშივე გაიტეხა გული, რაღა თქმა უნდა, უდროოდ დანაცარ-ქექიავდება და, არა თუ სხვებისათვის, თავის-თავისათვისაც გამოსადეგი აღარ იქმნება. ეს ბუნების კანონია და, ვისაც ეს კანონი არ მოუხდია, იმასაგან კარგი არა დადგება რა: როგორც მაჭარი სდუღს, ჩუხჩუხებს და ქვევრში ველარ ეტევა, თუ სასუღე არ მიეცა, ისე კაციც ჭაბუკობის დროს, სანამ დავაჟკაცდებოდეს და დასცხრებოდეს, მოუსვენარია. სიცოცხლით სავსე სტუდენტობის დრო მართლა რომ მაჭრობის დროა და მათი შუშხუნა სიტყვა-ქცევა გასაკვირვალი და დასაძრახისი არ არის, მით უმეტეს, თუ მათი ოცნება კეთილ განზრახვებით არის გამოწვეული და არა საპირადო ანგარიშებით.

სამსონ თოფურია სხვებზე უფრო მეტად გადაჭარბებულად მეჩვენა; ისეთის უეჭველობითა და წინ და წინვე ძლევამოსილობით ითვალისწინებდა მომავალს, რომ უნებურად ჰხიბლავდა მსმენელს! ქონების მხრივ ცხოვრებაში დაბრკოლებას ვერა ჰხედავდა, თითქოს მამამისის დანარჩენი მილიონები ბანკში სდებოდეს ხელ-უხლებლად! .. და მერე რა დროს? როცა ლუკმა პურისათვის ნავთსადგურში მიდიოდა დღიურ მუშად და ისე განაგრძობდა სწავლას. — გადამეტებულმა შრომამ დაასნეულა, მაგრამ იმასაც გაუძლო და ექიმად დაუბრუნდა სამშობლოს და შეუდგა დიდის ხნის გულნადების განხორციელებას.

ის უჩვეულო გზა, რომელსაც თოფურია დაადგა ჩამოსვლისათანავე, ყველგან ძნელი გასავლელია, მაგრამ ერთი ათად და ასად უფრო უძნელესია ჩვენში, სადაც ცხოვრებას თვისი საკუთარი, ადგილობრივი, საუკუღმართო კანონები აქვს. ამ კანონებს ბევრი კარგი საიმედო და სასახელო ახალგაზრდა ჩაუთრევია ჩვენი და ძალა უნებურად დაუღუპავს სუსტი მებრძოლი! მაგრამ სულ სხვა ენერგიის პატრონი იყო ახალგაზრდა თოფურია და გაუძლო ჭირს! გაიმარჯვა!.. თუმცა ძვირად კი დაუჯდა ეს გამარჯვება. და ვინ იცის, ეგების, სულაც იმან უწია დღეს და იმსხვერპლა?!.. გმირი წყლულს მალავს, არ აჩენს, მაგრამ წყლული კი მაინც საიდუმლო ხაზებსა სტოვებს გულის ფიცარზე. საზოგადო მოღვაწეობა ყოველგან ეკლიანია და ჩვენში, იმერეთში კი იმ ეკალს ზედ ნაღველ-შხამ-ტალახიც ემატება...

ჯაკი.

(დასასრული ხვალ)

იძენენ ქონებას და მიდიან სამშობლოში. იმათ მაგიერ სხვანი მოდიან, ისევ ყიზილბაშნი, და მოქმედობენ ისევე. ბაზარი ბოსტნეულობას ბევრი აქვს ზემოქართლში: ყველა სადგურები რკინის გზისა, სოფ. ხაშური, სურამი, ბორჯომი და მომეტებულ ბოსტნეულობას გლეხობა ასაღებს—ქერზე, პურზე სცვლის. უნდა მოვახსენო მკითხველს, რომ ყიზილბაშები ვაგონებით ჰყიდიან ჰირნახულს, რასაც იღებენ მცხოვრებლებისაგან: მოუსვლელ საზამთროში, წყლიან ნესვში, დამჭკნარ ხახვში და მწვანილეულობაში. პირველი ღონიერი მიზეზი მოუსავლობისა ზემოქართლში არის მიწის უხეირო შემუშავება. ხალხი გამრავლდა, მთელი ქართლი იხვნის, რის გამო საძოვარი ადგილები აღარ არის. გასაოცარია აქაური საქონლის ძალა, ზამთარში მაძღრისად ვერ აჭმევენ ბზეს—რადგანაც კარგი ბაზარი აქვს და ხარბობენ ფასებს. წრეულს ბზის ფასი ავიდა 22—25 კაპეიკამდე ფუთი. ზაფხულში საძოვარი არსად არის; ამ მიზეზებისა გამო გუთანი აღარ იბმის ძველებურად, რვა-უღლიანი და მიწას სჩიჩქნიან უღელა ხარით, კავით. აბა რას მისცემს უღელი ხარით მოხნული მიწა მუშას? ორმოცი-სამოცი წელიწადია, ყოველ წლივ აბრუნებენ დედა-მიწას და ველარ შესძლო მოსავლის მოცემა. ახალ სახნავ იარაღს, სამზღვარ-გარეთელ გუთნებს, რომელსაც ოთხი უღელი უნდება, აქაური მხვნელ-მთესელი ახლო არ ეკარება—რადგანაც თითო გუთანი ჯდება—20—30 მანეთამდე.

ამ წუწუნთან უნდა აღვნიშნო ერთი დიადი საქმე, რომელიც მოხდა აქ, ამ დღეებში. ზემო-ქართლში, ფრონის ხეობაზედ, სცხოვრობენ თ-ნი ფალავანდიშვილები, რომლებსაც ეკუთვნით მამა-პაპეული მამული, მთა და ბარი, სივრცით სამოცი ათასი დღისა. ფალავანდიშვილები არიან ასამდე მონაწილენი და დღემდე ისეთი უთანხმოება სწარმოებდა მათ შორის, რომ მოსისხლე მტერსაც არ შეეძლო ამ გვარი საქციელი. მამული გაუმიჯნავია და შემოსავალი იმ პირს მიჰქონდა, ვისაც მკლავში ღონე ჰქონდა და კარგი მერანი. ქვრივნი და ობოლნი, თუნდ დიდი მონაწილენიც იყვნენ—ვერას სარგებლობდნენ და იყო სალდაობა ამათი. კიდევ შედეგი ამ არეულობისა ის გახდა, რომ სახელმწიფო გარდასახადი მამულისა (**земскій налогъ**). არავის შეჰქონდა და ამ ჟამად 9000 მანეთამდის შესდგა და ასწერეს კიდეც გასასყიდათ მთა—15000 დესეტინა. და აი ეს დიდი განხეთქილება, დამღუპველი ყველა მონაწილესი, მოაწყეს თავისი მობძანებით, რჩევა-დარიგებით, აწონ-დაწონვით, სოფელს კნოლეში, თავადმა დავით ზაქარიას ძე მელიქიშვილმა, ბატონმა დავით ივანეს ძე უთნელიშვილმა, სუდებნი პალატის წევრმა, და გიორგი ალექსანდრეს ძე ბაგრატიონმა, ბევრი ადამიანობა და სულ-გრძელობა აღმოიჩინა ამ სამმა პირმა—თავისი დარბაისლური მოქმედებით. ნაყიდ და დაგირავებულ მამულებს - ზოგიერთნი მონაწილენი — უბრუნებდნენ ქვრივ-ობლებს უსასყიდლოდ და ხუთას-ექვსას დღისაში—ასი დღისას სჯერდებოდნენ. მეც იქ დამსწრეს,—ბევრჯელ მომივიდა თვალთ-ცრემლი, რადგანაც ვნახე მრავალი ადამიანური მოქმედებანი... სწორედ რომ დაუვიწყარი ამაგი დასდეს თვით ფალავანდიშვილებს —ბ.ბ. მელიქიშვილმა, უთნელიშვიდმა და ბაგრატიონმა. ეს საქმე წარმოადგენს, თუ კაცი ჩაუკვირდება, დიდ ბუმბერაზ საქციელს... ასი მონაწილეს მორიგება, ერთოჯახად ქცევა, შურის, მტრობის და დავიდარაბის შემდეგ ყოველ სასამართლოებში, გასაოცარია... და ფასის დადება ამ მოქმედების არ ძალმიძს... ეხლა, როდესაც სასამართლოები ათ-თხუთმეტ თუმნიან საქმეებს—ათი და ოცი წელიწადებს ანდომებს... ღმერთმა ნუ გამოულიოს ქართველებს ამისთანა საზოგადო მშრომელნი, როგორც ბძანდებიან ბ.ბ. მელიქიშვილი, უთნელიშვილი და ბაგრატიონი, ვაშა, ვაშა მათ!!

სოსიკო თარხნიშვილი.

**ქედა აჭარა—ს. ქედა.** აგერ სამი თვეა, რაც ჩვენში ნამი წვიმა არ ჩამოვარდნილა. დაბლობში ნათესი სიმინდები სიცხემ ამოსწვა, მხოლოდ მაღლობ ადგილის ყანებს არა უშავს რა, რადგანაც ამისთანა ამინდი მისთვის უფრო სასარგებლოა. თუ ღმერთმა წვიმა გვაღირსა, კარგი მოსავლის იმედი გვაქვს, თუ არა და სიმინდის ნაკლებობა იქნება, რაც აჭარაში ჩვეულებრივი მოვლენაა. შარშანდელზე შედარებით ნახევარი მიწები არ დაგვითესია, რადგანაც ხელი შეგვიშალა მაისის წვიმებმა. ახლა ისეთი სიცხეებია, რომ ხეხილები სულ ძირს სცვივა და თუ ასე გაგძელდა, კარგს არაფერს უნდა მოველოდეთ.

თიბათვის 18 ქედაში აქაურმა სკოლის მასწავლებელმა ადგილობრივი მთავრობის წარმომადგენელთან და ჩვენებური ბეგების და ზოგიერთთა თან-დასწრებით თავის მოწაფეთა გამოცდა მოახდინა. გამოცდა რუსულ ენაზე იყო. ქართულს ჩვენ სკოლაში არ ასწავლიან. ჩვენებურებმა, გარდა ტუფანბეგ შარვაშიძისა და მათი შვილებისა, ვერაფერი გაიგეს. სამწუხაროდ უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენ წვა-დაგვით აშენებულს სკოლაში მარტო თორმეტი ბავშვი დაესწრო გამოცდას; უფრო სამწუხარო ის არის, რომ მათ რიცხვში ერთი აჭარელია, დანარჩენი სომეხი და ბერძენია. რა არის მიზეზი, ღმერთმა იცის.

რუსეთ-იაპონიის ომით ძალიან დაინტერესებულნი არიან აქაური მცხოვრებნი, სულ ამაზედ ლაპარაკობენ. გაზეთები აქ ერთი ორის მეტს, არავის მოსდის, ამიტომ, ძნელია ყველას დაკმაყოფილება.

თუ მთავრობამ ნება მომცა, ახლო ხანში, ზოგიერთ პირთა მეცადინეობით, ქედაში გვინდა დავაარსოთ უფასო სამკითხველო, აზრათა გვაქვს გამოვიწეროთ ჩვენი ქართული გაზეთები და სხვ. ყველა გულის ფანცქალით ველით ამ კარგი საქმის შესრულებას.

აგერ ორი წელიწადია, რაც ჩვენში კაცის კვლა შესამჩნევად შემცირდა, მაგრამ ამ ბოლო ხანში სოფელ მაჭახელაში ორი კაცი და ერთიც ს. ორცვაში მოჰკლეს მუსა ქუჩუკ-ალი-ოღლი, და მკვლელი ჯერ არ იციან, ვინ არის, მაგრამ იმედია, რომ ადგილობრივი უფროსის მეცადინეობით ადრე ხანში მკვლელი აღმოჩენილი იქმნება და კვლავ დაწყნარებული ჩვენი აჭარა. ამისთანა მიზეზებისთვის კი-იარაღის ტარება აღკრძალულია და აქაური მცხოვრებნი ძალიან შეწუხებულნი არიან· ყველამ იცის, აჭარლებისათვის თოფი-იარაღი იგივეა, რაც თევზისთვის წყალი.

ძალიან შეწუხებული ვიყავით წყალგამოღმა მყოფნი, მეტადრე ქედელები, უხიდობით, მაგრამ აქაურის უფროსის შრომა-მეცადინეობით დღეს ქედაში კეთდება, აჭარის წყალზე, მშვენიერი ხიდი, რომელზედაც დღეში ორმოცამდე კაცი მუშაობს. ხიდი ჩქარა მზად იქნება, რისთვისაც დიდად უნდა ვუმადლოდეთ ჩვენ უფროსს სოლოვიოვს.

# რუსეთი

**ბრიანსკი.** (ორიოლის გუბერნია, საკუთ. კორესპონდენტისაგან). თიბათვის 22-ს ყოვლად სამღვდელო კირიონი, ეპისკოპოსი ორიოლისა და სევისა, გაემგზავრა ბრიანსკის მაზრის სარევიზიოდ. ხალხი და სამღვდელოება რკინის გზის სადგურებზედ ყველგან ეგებებოდნენ დიდ ძალი. ბრიანსკის რკინის გზის სადგურზედ დაუხვდა ადგილობრივი ადმინისტრაცია და ქალაქის თავი პურ-მარილით. ქალაქის თავმა და ადგილობრივმა დეკანოზმა სიტყვებით მიჰმართეს ყოვლად სამღვდელოს, რომელმაც თავის მხრით მადლობა გარდაუხადა. ეკკლესიები ხალხით გაჭედილი იყო. დაათვალიერა ეკკლესიები და დედათა მონასტერი და ზოგგან შესაფერის სიტყვით მიჰმართა ერს. იმ დღეს დაწვრილებით გაშინჯა შესანიშნავი სვენის მონასტერი თვისის სიძველეებით და მეორე დღეს გაემართა ბრიანსკის ქარხნების დასათვალიერებლად. გზაზედ ქარხნების ადმინისტრაციამ სალამი უძღვნა ეპისკოპოსს კირიონს, რომელმაც ადგილობრივი ბეჟიჩის ეკკლესიები დაათვალიერა და დალოცა აუარებელი ხალხი. ამ ქარხნებში არის 8000 მუშამდე. თვით ბეჟიჩი კოპწია ქალაქია, რომელსაც აქვს მშვენიერი სახელოსნო ტეხნიკური სკოლა და საავადმყოფო. ქარხნებს ამუშავებენ და ანათებენ ელექტრონის ძალით. ამ ქარხნების გასაშინჯად აპირობენ წამოსვლას ტფილისის სახელოსნო სკოლის მოწაფენი. მართლაც, აქ ბევრი რამ არის შესანიშნავი და საგულისხმიერო, ყოვლად სამღვდელომ დაწვრილებით გაშინჯა თითქმის ყველა ადგილობრივი დაწესებულებანი. ქარხნების გამგებელი გაუმასპინძლდა ყოვლად უსამღვდელოესს ეპისკოპოსს კირიონს მშვენიერის სადილით. გამგებელმა გრძნობიერის სიტყვით მიჰმართა ეპისკოპოსს კირიონს და წარმოსთქვა მისი სადღეგრძელო. მოულოდნელად გაისმა მშვენიერი ქართული მრავალ-ჟამიერი, რომელიც გვერდზე ოთახში სთქვა ქალთა და ვაჟთა გუნდმა. შემდეგ გუნდმა იმღერა: „ღმერთმა ინებოს" და «მადლობელი ვარ». ყოვლად სამღვდელომ მოიხსენია რა ფრიად დიდი ღვაწლი ადმინისტრაციისა, კარგი მოწყობილება ქარხნებისა, სასწავლებლისა, საავადმყოფოსი და სხვათა, აღდეგრძელა გამგე ქარხნებისა და ისურვა მათის რთულის საქმის წარმატება. ამ სადღეგრძელოსაც მოჰყვა ქართული ხმა-შეწყობილი მრავალ-ჟამიერი სხვა კილოები. იგალობეს აგრეთვე მესამე კილოს ქართული მრავალ-ჟამიერი; დამსწრეთ ძალიან მოეწონათ მელოდიური ქართული სუფრაზედ სათქმელი მრავალ-ჟამიერი. ბევრმა მათგანმა არც კი იცოდა, რომ ესეთის მშვენიერის კილოების მრავალ-ჟამიერი არის საქართველოში. უნდა აღვნიშნოთ, რომ ყველგან სცდილობენ ყოვლად სამღვდელო კირიონის სიამოვნებას და ამისთანა შორ გუბერნიაშიაც კი ქართულს მრავალ-ჟამიერით ეგებება მათ მეუფებას ხალხი.

მღვდელ-მონაზონი ტარასი.

# ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

«მოსკ. ვედ.»-მა ვრცელი წერილი უძღვნა ინგლისის განრისხებას იმათ გემების შეპყრობის გამო რუსეთის კრეისერების მიერ მეწამულს ზღვაში. ჩვენი კრეისერები, მართალია, კერძო საკომერციო ფლოტის გემები იყვნენ, მაგრამ სახელმწიფოს მუდამ სრული უფლება აქვს თავისი საკომერციო გემები სამხედრო გემებად გადააქციოსო. ინგლისელები ტყუილად სჩივიან, რუსთა კერძო გემები სრუტეებში საკომერციო ბაირაღით გავიდნენ და მერე შეიარაღდნენ, სამხედრო გემებად გადაიქცნენო. ინგლისელები ვაჭარი ხალხია და მათს მთავრობას სხვანაირად ესმის ნეიტრალიტეტის დაცვა. კერძო კაცს ვერ დავუშლით, როგორც უნდათ ივაჭრონ. თუ კონტაბანდა მიაქვთ, თვით რუსეთმა დაუშალოს და აღაგმოს კონტრაბანდისტებიო. და აი, როცა ჩვენმა გემებმა შეიპყრო ინგლისელთა გემები, საიხედრო მასალით დატვირთული და იაპონიაში გასაგზავნი, მაშინ ემწვავა ინგლისის მთავრობას, მაშინ დაიწყო გრგვინვა-ქუხილი ინგლისელთა მწერლობამ. ძალიან კარგი. იცოდეს ინგლისმა, რომ ჩვენც მზადა ვართ პასუხი გავსცეთ, თუ იარაღს ხელი მოჰკიდა, ორენბურგ-ტაშკენტის გზა მალე დამთავრდება. კუშკისკენ გზა გახსნილი გვაქვს. საჭიროა მხოლოდ სასწრაფოდ დავესხათ აქედან ინდოეთს და მით მოვსჭრათ კბილი ინგლისსა. იქ, ჰიმალაის მთებს გადაღმა, მილიონობით ხალხი დიდი ხანია ელის ინგლისის ბატონობისაგან განთავისუფლებას.

ასე რიხიანად ლაპარაკობს გრინგმუტის გაზეთი და ასე ემუქრება ინგლისს. მუქარა კი ადვილია, გაზეთს არა ეხარჯება რა, გარნა შესრულებაა ძნელი.

—

ბ-ნი დოროშევიჩი სამართლიანად უსაყვედურებს «ნოვ. ვრ.»-ას, სამის თვის წინად დაამცირეთ ჩეხოვი, მიწასთან გაასწორეთ, არც ნიჭი, არც ჭკუა იმის ნაწერებში იოტის ტოლაც ვერ აღმოაჩინეთ და, როცა მოკვდა, მაშინ კი სხვა ჰანგზედ დაიწყეთ მღერაო.

მერე როდის ამცირებდა გაზეთი ჩეხოვს? სულ სამის თვის წინად, როცა, თვითონაც კი კარგად იცოდა, რომ მწერალი თითქმის უიმედო მდგომარეობაში იყო, ისე ჰქონდა მორეული უკურნებელი სენი.

ვინ, ვინ მოიქმედა ასეთი სიძაგლობა?

ვისმა ჭუჭყიანმა და საზიზღარმა ხელმა გადაჰკრა ჭუჭყიანი და საზიზღარი მათრახი ტანჯულსა და მომაკვდავს კაცს?

ვინ მოიქმედებდა ამას, თუ არ «ბებერი ჯალათი»? თუ არ ბურენინი?

იგივე საზიზღარი ხელი, რომელიც სტანჯავდა მომაკვდავს ნადსონს, გაწვდილ იქმნა მომაკვდავ ჩეხოვის საწამებლადაც...

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

14 ივლისი

**პეტერბურგი.** დეპეშა გენერალ-ადიუტანტის კუროპატკინისა, მისს უდიდებულესობასთან 13 ივლისით: 12 ივლისს, დღის მეორე საათზე, ზარბაზნებისა და თოფის სროლის შემდეგ ჩვენის უკან დაწეულ მოწინავე ჯარისაგან, მტერმა აიღო დაშიჩაო. მტრის ერთმა დივიზიამ ცოტად წაიწია დაშიჩაოდან ხაიჩენისაკენ ჩრდილოეთად დიდის გზით. დაწვრილებითი ცნობა 10 და 11 ივლისს მომხდარ ბრძოლისა და ზარალის შესახებ ჯერ არ მოსულა. 12 ივლისს სიუნიანიდან დალინის უღელტეხილისაკენ გამოჩნდა მტრის ორი ბატალიონი, რომელსაც ჩვენმა მზვერავმა რაზმმა შუბლიდან და ფრთიდან სროლა დაუწყო. მოწინავე როტა იაპონელებისა მთლად დაიფანტა და 50 კაცი დაჰკარგეს. 12 ივლისს მტერს წინ აღარ წამოუწევია. 12 ივლისს, დილის 5 საათზე, ორმა ბატარეიამ მტრისამ დაიწყო სროლა სიაკუშანთან და ტუშუფანთან, მაგრამ მალე შესწყვიტა. 13 ივლისს ნაშუადღევამდე მტერს წინ აღარ წამოუწევია. ლიაოიან-ფინხუანჩენისა და ლიაოიან-სიამაძისაკენ სიწყნარეა.

**მუკდენი,** 13 ივლისი. (საკუთ. კორ.). ჩვენის სამხრეთის შუბლის ჯარებს 11 და 12 ივლისს ბრძოლაში უფროსობდა გენერალ-ლეიტენანტი ზარუბაევი, მე-4 ციმბირის კორპუსის უფროსი. ბრძოლის დროს აღმოჩნდა, რომ მტერი მიაწვა უღელტეხილებიდან სიფუჩენისა და ხაიჩენისაკენ, ამან აიძულა გენერალი ზარუბაევი და მისცა ბრძანება, ჩვენი ჯარი წასულიყო დაშიჩაოს ჩრდილოეთად. იაპონელები არ გამოგვედევნენ. დაწევა სრულის წესით შესრულდა.

**ვლადივოსტოკი,** 14 ივლისი. (საკ. კორესპ.). ჩიფუდან იტყობინებიან, რომ დამტვრეულ ტრანსპორტებს და სხვა გემებს აყენებენ ნავსადგურ მოდუში, სადაც აკეთებენ. ტრანსპორტი «სადომარუ», რომელიც ვლადივოსტოკის ესკადრამ დააზიანა, იქ მიათრიეს. მისაშველებლად ერთი გემი გაჰგზავნეს, მაგრამ ნაპირს გააგდო; გემის გადასარჩენად ორი ტრანსპორტი გაჰგზავნეს, მაგრამ ხიფათს გაეყარნენ, გემს ცხვირი სულ ერთიანად მიამტვრიეს; ამ დროს ერთი ტრანსპორტიც ჩაიძირა, მეორე კი დაზიანდა.—ვლადივოსტოკის ლაზარეთში იაპონელთა 9 მეზღვაური წევს მოსარჩენად. ისინი ტრანსპორტ «იცუმარუ»-დან გადმოასხეს. ისინი კმაყოფილნი არიან, რადგან კარგად ეპყრობიან.

**პარიჟი.** 13 ივლისს, ლუბეს საპატიო თავმჯდომარეობითა და დელკასეს თავმჯდომარეობით დაფუძნდა გარეშე საქმეთა სამინისტროს მუზეი. «ფიგარო» იუწყება, ამ მუზეიში ალეგორიული სურათია იმპერატორის ვილჰელმისა—«ერნო ევროპისანო! დაიცევით თქვენი სამღრთო სამკვიდრებელი». მუზეიში ინახება კალამი, რომლითაც ბისმარკმა მოაწერა ხელი დროებით ზავსა და ზავის პირობებსა.

**პეტერბურგი.** დეპეშა გენერალ-ადიუტანტის კუროპატკინისა მისს უდიდებულესობასთან 13 ივლისით: «13 ივლისს, ნაშუადღევის 11 საათზედ, მე მივიღე შემდეგი დეპეშა გენერალ-ლეიტენანტის ზარუბაევისა: «11 ივლისს, დილის 5 საათზედ იაპონელებმა შემოგვიტიეს. ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს პოზიცია ნანდალინთან, სიმაღლეები ციანჯაიძის სამხრეთად, და მარჯვენა ფრთეზედ ციანცუტენ-იუნატუნ და სანციაძთან. ამ სამთავე ადგილებს დაუწყეს სროლა, რომელიც 15 საათის განმავლობაში არ შესწყვეტილა. 6 საათზედ დაუწყეს იმ ჯარებსაც სროლა, რომელნიც ციანჯაიძ-ნანდალინთან იდგნენ. სროლა გაახურეს დილის 7 საათიდან და ესროდნენ სულ პოზიციის სამხრეთად ციანჯაიძისაკენ. დაფანშენის მხრივ ერთი ბატარეა აღმოჩნდა, რომელიც თვით სოფელს ესროდა. 11 საათი რომ სრულდებოდა, ცხადად შევამჩნიეთ, იაპონელებმა დაიწყეს შეჯგუფება მანძიატუნ-იანცაგოუსა და ფანშენის მიდამოებში. უფრო ესროდნენ იმ ჯარებს, რომელნიც ციანჯაიძის სამხრეთად სიმაღლეებზედ იდგნენ, ამ დროს იაპონიის ორს ბატალიონს უნდა დაეჭირა მთა, მაგრამ ჩვენმა არტილერიამ ხელი შეუშალა და ისინი გაიქცნენ. ჩვენი ყუმბარები მტრის გუნდს ჰხვდებოდა. 11 საათზედ ციანჯაიძის სიმაღლეებზე დაუწყეს ჩვენს ჯარს სროლა თითქმის ოთხმა ბატარეამ, მაგრამ ჩვენმა ბატარეიებმა ერთბაშად შეამოკლებინეს იაპონელებს სროლა. ორ საათზე ჩვენმა არტილერიამ ადგილი გამოიცვალა და დაიწყო სროლა დაფანშენისაკენ. იმდენად კარგად ესროდნენ, რომ იმ მხრის ჯარები წავიდნენ იაპონელებზე იერიშითა. წინ წაწეულმა ბატალიონმა აღმოაჩინა მტრის მაშველი ჯარი, რომელმაც ზარალით უკან დაიხია. ამავე დროს ვანჩანგოუს სიმაღლეებზე იაპონელებმა სამი ბატარეია კიდევ დასდგეს. ოთხი საათი იქნებოდა, რომ იაპონელთ ერთად თავმოყრა დაიწყეს, ალბად უნდა გაერღვიათ ჩვენი პოზიცია სოფელ ციანჯაიძისკენ, სადაც ბარნაულის პოლკი იყო. საომრად გამოეწყო ხუთი ბატალიონი იაპონელთა. მტერმა მოუხშირა სროლა. $7^1/_2$ საათზე საღამოთი საშინელი ცეცხლი ასტეხეს და მზე რომ იწვერებოდა, მტერმა იერიში მიიტანა ბარნაულის პოლკზე. პოლკს სამი ბატალიონი მიავაშველეთ. ბარნაულის პოლკის უფროსი პოლკოვნიკი დობროტინი ყოჩაღად დაუხვდა და ოთხჯერ ხიშტებით უკუ აქცია. ბარნაულელებმა წაართვეს მტერს თოფები და სხვა იარაღი, რომლის რაოდენობაც ჯერ ცნობაში არ არის მოყვანილი. 9 საათზე საღამოთი ზარბაზნის სროლა შესწყდა, მაგრამ თოფისამ კი შუაღამემდე გასტანა. ჩვენ ყველა პოზიციები შევინარჩუნეთ. ბრძოლის გათავების შემდეგ გამოირკვა, რომ 18 ბატალიონის წინააღმდეგ ორი დივიზია და დიდძალი ბატარიები იყო მტრისა. მთელი სიგრძე პოზიციისა 16 ვერსზე იყო გაჭიმული. ამისთანა გარემოებათა გამო მე საჭიროდ აღარ დავინახე, მეორე დღესაც განმევრძო ბრძოლა და გადავსწყვიტე დამეხია ჩრდილოეთად. პოზიციიდან დახევა დიდებულის წესიერებით მოხდა. ზარალი ცნობაში არ არის ჯერ მოყვანილი, მაგრამ ვგონებ, ჯარს გამოაკლდა 20 აფიცერი და 600 ჯარის კაცი. აფიცერთაგან მძიმედ დაიჭრა კომანდირი ტომსკის პოლკისა პოლკოვნიკი. უსპენსკი. მოვალე ვარ დავამოწმო, რომ ყველა ნაწილები ჩემდამო რწმუნებელის ჯარისა ჩინებულად გაირჯნენ 15 საათ. მძიმე ბრძოლაში. განსაკუთრებითი სიმტკიცე გამოიჩინეს ციმბირის პოლკებმა, რომელთაც მთელი ძალა იაპონელებსა თავს დაატყდათ. ერთი ციდა ადგილი პოზიციისა არ დაუთმეს მტერსა, თუმცა მტერი გვჭარბობდა და რამდენჯერმე იერიში მოიტანა შუაგულზე, სადაც ოთხჯერ მოხდა ხიშტებით შეტაკება. იმათ სიას, რომელნიც ჯილდოს ღირსნი არიან, წარმოვადგენ. ეხლა ვალად ვსთვლი მოგახსენოთ მხნეობა ტობოლისა, ტომსკისა და სემიპალატინსკის პოლკის ორის ბატალიონისა და განსაკუთრებით ბარნაულის პოლკისა, რომელმაც დიდი სახელი მოიპოვა. ბატარეიების ჯარს, რომელიც $15^1/_2$ საათს იყვნენ ცეცხლში, ვერ ავწერ. იაპონელების ზარალს ნიშნობლივ ვერ ვიტყვი, მაგრამ თამამად შემიძლიან ვსთქვა, რომ ჩვენზედ ბევრად მეტი ზარალი მოუვიდათ.

**ალჟირი.** (ჰავასის სააგ.). ინგლისის შეპყრობილი გემი «მალაკკა» მოვიდა აქ რუსეთის ბაირაღ ქვეშა.

**ტოკიო.** ვლადივოსტოკის ესკადრა გაემართა ჩრდილოეთად. ამბობენ, რომ «ნაიტ კომანდერის» დაღუპვის შემდეგ, იაპონიის ერთი გემი კიდევ იქმნა ზღვაში ჩაღუპულიო. ვლადივოსტოკის ესკადრა 14 ივლისს განთიადისას 60 მილის მანძილზედ იყო ტოკიოს ყურედანაო. იქიდან სამხრეთად წავიდაო.—იაპონელებს 800 კაცი დაეღუპათ დაშიჩაოს ბრძოლაში.

**ლონდონი.** (რეიტერის სააგ.). პეტერბურგში გავრცელებული ხმები, რომ ვითომ დემონსტრაცია მოახდინეს რუსეთის აქაურ საელჩოს წინაშეო, მართალი არ არის.—სუეციდან იუწყებიან, რომ გემი «გოლსაცია» მისულა იქ რუსეთის კერძო ფლოტის კრეისერის კომანდით და მერე გაუნთავისუფლებიათ. გემი «ფორმოზაც» გაუთავისუფლებიათ.

**შანჰაი.** (რეიტ. სააგ.). რუსეთის უმთავრესმა კონსულმა დაამოწმა ის ამბავი, რომ ბრიტანიის გემი «ხიპსანგი» ჩაღუპულ იქმნა ზღვაში 3 ივლისს რუსეთის ნაღმოსანის მიერ. რუსნი თავს იმით მართლულობენ, რომ გემმა უარი სთქვა და არ გაჩერდაო.

**სტამბოლი.** (კორესპონ. ბიურო). უკვე მეორე ჯუფთი მოვიდა ამას წინად ბულგარიიდგან. ამ ჯუფთს ბლომად ჰქონდა დინამიტი. ჯუფთის ბელადი, რომელიც მოკლულ იქმნა, ბულგარიის ოფიცრადა სცნეს.

**ლონდონი.** როცა შეეკითხნენ, ინდოეთის საქმეთა სტატს-სეკრეტარმა ბროდრიკმა სთქვა საზოგადოებათა პალატაში, რომ დაბრკოლება არა იქმნება-რა მოლაპარაკების განსაგრძობად თიბეთთან, თუმცა ბრიტანიის ექსპედიცია სულ წინდა-წინ მიიწევს, უკეთუ თიბეთელნი გამოჰგზავნიან ისეთს შუა-კაცებს, რომლებსაც რწმუნების ქაღალდები ექმნებათო.

15 ივლისი.

**პეტერბურგი.** ამბავი მოვიდა, 15 ივლისს, ესე დილის 10 საათზე, გზათ ბალტიის ვაგზალისაკენ ვარშავის რკინის გზის სადგურის ახლო მოჰკლეს შინაგან საქმეთა მინისტრი ვ. კ. პლევე. ეტლს ქვეშ შეაგდეს ყუმბარა. მინისტრი და მეეტლე დაიხოცნენ.

**პორტ-საიდი.** (რეიტერის სააგ.). «სკანდიასა» და «არდოვაზე» მყოფნი რუსნი გემ «ცესარევიჩით» ადესას წავიდნენ.

**ვაშინგტონი.** (რეიტ. სააგ.). სახელმწიფო დეპარტამენტს ოფიციალურად მისცეს საჩივარი «პორტლანდ მილიონ კომპანიამ» იმის გამო, რომ რუსებმა დაიჭირეს ამერიკული ტვირთი ჰამბურგ-ამერიკის გემ «არაბიაზე». დეპარტამენტი მაშინვე ენერგიულად შეუდგა საქმესა. ადვოკატმა განაცხადა, ფქვილი, რომელიც გემ «არაბიაზე» იყო, სამხედრო კონტრაბანდად არ ჩაითვლება და არის ჩვეულებრივი სავაჭრო ტვირთი. ეს ტვირთი არ იყო ომის საჭიროებისათვის დანიშნული და არც იაპონიაში იგზავნებოდა. დეპარტამენტს ჯერ არ შეუტანია განცხადება «ნაიტ-კომანდერის» შესახებ. უეჭველია იმ გადაწყვეტილებას დაადგება, რომ სანეიტრალო გემების დაღუპვა გასამართლებელი არ არისო.

**ლონდონი.** (რეიტ. სააგ.) მეზღვაურთ გემ «ფოკსტოლხალისა», რომელიც რეიდზე იდგა პორტ-არტურთან, როცა იაპონიამ პირველად დაიწყო ყუმბარების სროლა, შეიტანეს ინგლისის გარეშე საქმეთა სამინისტროში საჩივარი იმის გამო, რუსებმა წაართვეს მთლად იმათი ბარგი-ბარხანა. სამინისტრომ უბძანა მეზღვაურთ შეადგინონ სია ყველა დაკარგულის ნივთებისა.

**ოისტერბეი.** (რეიტ. სააგ.) დღეს რუზველტს ოფიციალურად აუწყეს, რომ რესპუბლიკას კონვენტმა ის პრეზიდენტი კანდიდატად დანიშნა. რუზველტმა თანხმობა განაცხადა კანდიდატობაზე და სიხარულით განაცხადა, რომ სრულიად თანამოზიარე ვარ კონვენტისაგან გამოთქმულს აზრებისა და დასკვნისაო.

**სოფია.** (საკუთ. კორესპ.) საქმეთა მცოდნენი სრულიად უარს ჰყოფენ იმ ამბავს, ვითომ მაკედონიის მეამბოხენი შეიარაღებულნი არიან მანლიხერის თოფებით და გავიდენ საზღვარს რილს ახლო ჰამელნიკს. არც ის არის ნამდვილი, ვითომ პორტამ თავისს კომისარს მიანდო, მოსთხოვოს ბოლგარიის მთავრობას პასუხი ამ ინციდენტის გამო.

---

დროებით რედაქტორი **გრ. ყიფშიძე.**
გამომცემელი **ა. სარაჯიშვილი.**

---

## გამოსადეგი ცნობანი:

**პეტერბურგის ბირჟა**

13 ივლისი 1904 წ.

ვექსილის კურსი 3 თვით:

| | |
|---|---|
| ლონდონში 10 გირვ. სტ. . . . . | 94,00 |
| ბერლინში 100 მარკაში . . . . | 46,00 |
| პარიჟში 100 ფრანკში . . . . | — |
| ლონდონში ჩეკები . . . . . . | 94,65 |
| ბერლინში ,, . . . . . . | 46,30 |
| პარიჟში ,, . . . . . . | — |
| ბირჟის დისკონტი. . . . . | 6—$7^1/_2$% |
| 4% სახელმწიფო რენტა . . . | $92^1/_2$ ნის. გაყ. |
| 4% სახ. სესხი 1902 წ. . . . . | — |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულთ ბანკისა . . . | $88^7/_8$ ნის. გაყ. |
| 5% პირ. შინაგ. მომგ. ბილ. 1864 წ. | $392^1/_2$ წვ. გაყ. |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. . . . | 303 წვ. გაყ. |
| 5% გირავნ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა. . | 262 წვ. გაყ. |
| 5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ. . . . . . | — |
| $4^1/_2$% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა. . . . | — |
| $4^1/_2$% ტფილ. საადგ. მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ. . . . | — |
| 5% გირავნობის ფურც. იმავე ბანკისა. . . . | — |
| 6% ქუთ. საად. მამ. ბანკის გირ. ფურცლ. . . . | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა. | |

---


# განცხადებანი

ქ უ თ ა ი ს შ ი

ს. ბ. თოფურიას

## სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მეურვეობის ქვეშე, 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიული გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდები სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

ფასი დღე-ღამეში ჰამა-სმისა და მკურნალობისათვის 1 მანათიდან 3 მანეთამდე.

---

## ტფილისის ქალაქის გამგეობა

აცხადებს, რომ 28 მკათათვისათვის, დღისით, 12 საათზედ, ქალაქის გამგეობის სადგომში დანიშნულია

## საჯარო ვაჭრობა

იჯარით გასაცემათ რიყის ექსპლუატაციისა მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირზედ სიპის ქვისა და ქვიშის ამოსაღებად. პირობების შეტყობა შეიძლება ქალაქის გამგეობის სადგომში დილის 10 საათიდამ 1 საათამდე, საქმის დღეებში. (3—6—2).

---




**მოითხოვეთ ყველგან ნამდვილი**

**„ოდობრინი“ მ. ვ. ლებედევის“**

ეს წამალი სრულიად აქრობს რამდენიმე დღეში ძველს ბებერას და მეტ-ხორცს ძირიან-ფესვიანად. მხოლოდ ეტიკეტი უნდა ჰქონდეს, მთავრობისაგან დამტკიცებული № 22473.

იყიდება ტფილისში—სააფთიაქო საქონლის კავკასიის სავაჭრო ამხანაგობასა და ის განყოფილებებში ბაქოსა და ბათუმში.

---





### ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლისაგან.

მიმდინარე წლის ენკენისთვისათვის ტფილისის სათავად-აზნაურო სასწავლებელში სულ ორმოცი (40) ვაკანსია არის პირველ განყოფილებაში (7 და 8 წლის ყმაწვილისათვის) სხვა განყოფილებებში და გიმნაზიურ კლასებში არც ერთი თავისუფალი ადგილი არ არის და ამიტომ არც თხოვნები მიიღება ამ კლასებში ყმაწვილების მისაღებად.

40 ვაკანსიიდგან— 39 დანიშნულია გარედან მოსიარულებისათვის და 1 სა საზოგადოების სრულ ხარჯზე.

საზოგადოების ნახევარ ხარჯზე ჯერ არც ერთი თავისუფალი ადგილი არ არის და შესაძლებელია სექტემბერში, ხელ-მეორე გამოცდის შემდეგ, გაიხსნას.

ვინც საზოგადოების სრულს ხარჯზე იქნება მიღებული, იმას არაფერი ხარჯი არ მოეთხოვება და ვინც ნახევარ ხარჯზე უნდა იხადოს წელიწადში ათ-ათი თუმანი. ვისაც სურს მიღებული იქმნას საზოგადოების სრულ ხარჯზე, იმან უნდა წარმოადგინოს თხოვნასთან ერთად შემდეგი საბუთის ქაღალდები: ა) წლოვანობის მოწმობა, მიღებული სინოდალურ კანტორისაგან, ბ) სღარიბის მოწმობა მაზრის თავად-აზნაურობის წინამძღოლისაგან და გ) ყვავილის აცრის და ჯანმთელობის მოწმობა.

ვისაც გარედან მოსიარულეთ სურს შემოსვლა, იმისთვის საჭიროა იგივე საბუთის ქაღალდები, გარდა შეუძლებლობის მოწმობისა.

უკეთუ მთხოვნელთა რიცხვი აღემატება ვაკანსიების რიცხვს, იმ შემთხვევაში მსურველთ ადგილი დაეთმობათ წილის ყრით. წილის ყრაში მონაწილეობას მიიღებენ მხოლოდ ისინი, რომელნიც წარმოადგენენ საჭირო საბუთის ქაღალდებს და ამასთანავე ეგზამენსაც დაიჭერენ წლოვანობის შესაფერ კლასისათვის.

სკოლის გამგე კომიტეტი არ მიიღებს იმ ყმაწვილებს, რომელნიც არ წარმოადგენენ მათზე დარჩენილს წინა წლის ფულს და მომავალ სამოსწავლო წლის პირველ ნახევრის სწავლა-აღზრდის ფასსაც.

შესაძლებელია სექტემბერში, მოსწავლეების ხელმეორე გამოცდის შემდეგ, კიდევ გაიხსნას რამდენიმე ვაკანსია იმათთვის, ვინც სრულს საკუთარ ხარჯზე ისურვებს პანსიონში შემოსვლას, ან ნახევარ ხარჯზე.

ვინც საკუთარ ხარჯზე შემოვა პანსიონში, იმან უნდა შემოიტანოს წელიწადში ოცი თუმანი: ათი თუმანი შემოსვლის თანავე და ათიც იანვარში.

ვისაც თხოვნა აქვს შემოტანილი პირველ განყოფილებაში ყმაწვილების მიღებისა, —იმათ 31 აგვისტოსთვის უთუოდ უნდა მოიყვანონ სკოლაში ყმაწვილები ჯანმრთელობის შესამოწმებლად და ქართულ ლაპარაკში გამოსაცდელად.

თხოვნა უნდა შემოვიდეს აგვისტოს 20-მდის; ქალაქ გარეშე მცხოვრებთ თხოვნა უნდა გამოგზავნონ შემდეგის ადრესით: **Въ Тифлисъ. Завѣдывающему Дворянской Школой, на Лабораторной улицѣ.**

აგვისტოს 25—31 რიცხვებში ხელ-მეორე გამოცდა მოხდება ზოგიერთ მოსწავლეებისა- 1-ს სექტემბერს სწავლა დაიწყება- დათხოვნილ იქნებიან აგრეთვე ის გარედან მოსიარულე მოწაფეებიც, რომელნიც სკოლაში მოსვლისათანავე არ წარმოადგენენ მომავალ 1904—1905 სამოსწავლო წლის ფულის ნახევარს. ყველა პანსიონერის მშობლებმა უნდა წარმოადგინონ თავდებნი ტფილისში მცხოვრებთაგანნი, რომელთანაც სკოლის გამგეობას შეეძლოს მიმართვა, როგორც ფულის თავ-თავის დროზედ შემოტანისათვის, აგრეთვე სხვა შემთხვევაშიაც

(17—6—9)

---


# ისყიდება

პრიუტთან ახლოს მამული: სახნავი, საძოვარი, სათიბი და ტყე საუკეთესო წყაროებით. წლიური შემოსავალი აქვს 400 მან., აგრეთვე მსურს გავყიდო სოფელს ტყვიავში (გორის მაზრა) ექვსი დესეტინა: ახლად გაშენებული ბაღი, სახლკარი და სახნავი მამულები. მსურველს შეუძლიან ცნობების შეტყობა ქ. ტფილისში, სასახლის ქუჩაზედ სათავად-აზნაურო სახლი **გრიგოლ კორინთელთან.**

(5—5).

---

ზემოვიდა და ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში ახალი წიგნი

# ლალაჩი

დრამა-ლეგენდა თ-დ ალ. სუმბათაშვილისა,
ავტორის სურათით და წინასიტყვაობით.
თ ა რ გ მ ა ნ ი გ რ . ყ ი ფ შ ი ძ ი ს ა
გამოცემა «ივერიის» ამხანაგობისა.

**ფასი ერთი მანეთი**

„ივერიის“ ხელის მომწერთ, რომელთაც სრულად არა აქვთ წლიური ფასი შემოტანილი, წიგნი დაეთმობათ თვით რედაქციაში ათ შაურად.

ვინც ათს ცალსა და მეტს იყიდის ან დაიბარებს რედაქციისაგან, თითო ცალი დაეთმობა 70 კაპ. ვინც ორმოცდა ათს იყიდის—60 კაპ. ფოსტის ხარჯი მყიდველმა უნდა იკისროს.

**ამ პიესის წარმოდგენა მთარგმნელის ნება-დაურთველად საცენზურო წესდების 1864 მუხლის ძალით აღკრძალულია.**

---

Feriencolonien. Colonie des vacances

„პ ა ტ ა რ ა - ც ე მ ი“-ს

# საზაფხულო სამყოფი

## ექიმის ვახტანგ დ. ღამბაშიძისა

# მოზარდ ქალ ვაჟთათვის

ზედ ბაკურიანის რკინის გზაზედ, ბორჯომის მახლობლად, მთა-ადგილზედ, ფიჭვნარში, 4400 ფუტის, 1300 მეტრის სიმაღლეზე.

მიიღებიან ორივე სქესის მოზარდნი ასაკით 8—16 წლამდე, სისხლნაკლები, დასუსტებული, მოქანცული, ნაავადმყოფარი, მადა-დაკარგული, ჭაობის ციებით შეპყრობილი ბავშვები და საერთოდ ისინი, ვისაც ესაჭიროება დასვენება, მოღონიერება და სხეულის გამაგრება

წამლობა განსაკუთრებით ბუნებრივი და ჰიგიენური. მთის წმინდა ჰაერი, დასვენება, უხვი და ნოყიერი საზრდო და ყოველ-გვარი ვარჯიშობა წყლით ექიმობა და სხვ.

არ მიიღება მწოლიარე ავადმყოფი, გადამდებ სენით და ფილტვების სიჭლექით დაავადმყოფებული, არც ის, ვისაც რომელიმე მიზეზისა გამო მაღალ, მთაადგილს ყოფნა არ არგებს.

საზაფხულო სამყოფის ხანად არის დანიშნული **ორი თვე:**

**15 ივნისიდგან 15 მარიამობისთვემდე.**

მსურველთ გაეგზავნებათ ცალკე წიგნაკი დაწვრილებით ცნობებით მოთხოვნილებისათანავე. პირადად ანუ წერილობით შეიძლება მიმართონ ექიმს ვ. ღამბაშიძეს, თბილისს, ნიკოლოზ ზაის ქ. № 46. (15—15)

---

ვისაც კი გსურთ აიცილოთ გაქურდვადა და მშვიდებული იყვეთ **იყიდევით,** მარტო 4 მან. 90 კაპ., სააუდამო, უკეთესად შემუშავებული ავტომატიური ხმაურობის გამომწვეველი აპარატი **„ენდოლიანსი“**, მოწონებული ფინანსთა სამინისტროს მიერ № 13,884.

შეგიძლიანთ დაჰკეტოთ ყოველ გვარი სადგომი და საწყობი, ისინიც კი, რომლებიც იმყოფებიან თქვენგან მოშორებით. შეგიძლიანთ აგრეთვე წახვიდეთ სადმე დულ-გამშვიდებული, რომ არ გეშინოდეთ ქურდებისა. **„ენდოლიანსი“** აძინებს როგორც შიგნით, ისე გარეთ მყოფთაც. რაწამს დაუპატიჟებელი სტუმარი შეხეება კარებს, ფანჯარას ანუ კარებს გასაღებად, აპარატი **„ენდოლიანსი“**, გარედგან შეუმჩნეველი, გამოიწვევს საშინელ ხმაურობას, მარტო თოფის წამლის აფეთქებით, საშიში არ არის. ხმაურობა ისმის სადგომის შიგნითაც და გარეთაც და აგრედვე შორ მანძილზედაც. თუ სადგომის პატარა ზარს შეაერთებთ აპარატთან, მაშინ აპარატის ხმაურობასთან ერთად ზარი დაიწყებს წკარუნს, რომელ სადგომშიაც უნდა იყოს, და არ შეჩერდება ვიდრე სახლის პატრონთაგანი ვინმე არ შეაჩერებს.

**„ენდოლიანსი“** საჭიროა საყდრებისა, სახლებისა აგარაკებში, მაღაზიებისა, ბეღლებისა, ჩარდახებისა, სარდაფებისა, მარნებისა, თავლებისა და სხვა სადგომების გაქურდვისაგან დასაცველად. როგორ ადგილშიაც უნდა იყოს სადგომი, სულ ერთია. ეს აპარატი მაგარი ნამუშავარია და ყველას ადვილად შეუძლიან იხმაროს.

ფასი გაგზავნით: ნიკელ გადაკრული აპარატი ჰყირს 4 მან. 90 კაპ., შევერცხლილი—5 მან. 60 კაპ.; ფასს დაღებით 10 კაპეიკით მეტი ჰღირს, აზიის რუსეთში კი 30 კაპეიკით მეტი. ვინც ციმბირში გაიწერს, უნდა გამოგზავნოს 2 მან. ბეთ. შეიძლება ფოშტის მარკებით.

მსურველთ მოითხოვონ ამ ადრესით: **Т-во „Эндолянъ“. Варшава, Милая 37/105.**

**გ ა ნ ს ა კ უ თ რ ე ბ ი თ ი ნ ა წ ა რ მ ო ე ბ ი ა.**

(5—6—)

---



# სწორედ მუქთია,




იტყვის ყველა, ვინც გამოიწერს ჩვენგან მხოლოდ **5 მ. 45 კ.** ჩვენისავე გაგზავნით.

უგზავნით 7 შემდეგს ნივთს: 1) **საათი** გაშავებული ფოლადისა, ქალისა ანუ კაცისა, მაგარის მექანიზმით, სწორის მუშაობით, 6 წლის ვადით ბუღდავანობით; 2) მევის ბუდე საათისთვის; 3) **ძეწკვი** საათისა, ქალისა ანუ კაცისა; 4) **ბროლოკი** ახალი ოქროსი „კომპასი“, ანუ «ბინოკლი» საინტერესო სანახავით ან სხვ.; 5) ტყავის ქისა პულისთვის მთელის ნაჭრისა, 7 განყოფილებით და მყიდველის ბეჭდით; 6) **მუშტუქი** დ-რის კოხისა თამბაქოს მწეველთათვის, ანუ კალმის დანა; 7) **ოქროს ბეჭედი** 56 რობისა ან ჯიბის ელექტრონის ფარანი, ანუ ტყავის პორტსიგარი ან მეშის ჩანაა ამარზე ჩამოსაბმელი. თავსახურავიანი საათი გაეგზავნება, ვინც 6 მ. 75 კ. გამოგზავნის.

შეკვეთილი ნივთები გაეგზავნებათ დაუყოვნებლივ და კეთილ სინიდისიერად ბეს გამოგზავნა საჭირო არ არის, ნივთები ფასდადებით გაეგზავნებათ.

ადრესი: **სავაჭრო სახლი ფელიკიანი და კომპ., ვარშავა, 36—333**

P. S. აზიის რუსეთსა და ციმბირში ნაწილი გზის ხარჯისა მყიდველთ გადახდებათ და ივთებიც მხოლოდ წინადვე ბეის მიღების შემდეგ გაეგზავნებათ. 3—6—2)


Дозволено цензурою Тифлисъ 15 іюля 1904 г. Тип. Е. И. Хеладзе. Русск. базаръ, домъ арм. семинаріи